

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43  
ქანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მწერა: მიიღება ქანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლია—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ ღამე ორგაბათის გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს რუბლად

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებების: დასრულებით ასობე—1 კაპ., დასრულებული სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოცხადებულ სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

სამი თვის ხელის-მწერა

## „დროებაზე“

1 ოქტომბერიდან  
ამ 1877 დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი სამი თვის გაზეთისა—3 მან.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: Въ Типографіи. Въ редакцію газеты „Дроება“.

ცალკე ნომერები

## „დროებისა“

თფილისის გარდა შემდეგ ქალაქებში ისე იყიდება.

ბორჯომი—ჩკინის გზის სტანციის ბუფეტში.

შუთაისში: სვიმონ ჩომანხიძესთან, ტიპოგრაფიაში, ბულვართან,

გაქათუბანში—სტანციის ბუფეტში,

ხაშურში (მიხაილოვში)—სტანციის ბუფეტში,

ახალციხეში—უფ. ალ. მარქელაშვილის მაღაზიაში.

## ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

ბუხარესტი, 4 ოქტომბერს. ოსმალთა გზაზე წაიღეს ყველა ზარბაზნები ერთის პლენის რედუტიდან, რომელსაც რუმინის ჯარი მიუახლოვდა. ამბობენ, რომ ოსმალთებისაგან ამ რედუტში, მიწაში, ლაღმები არის გაკეთებული და დატოვებული.

პარიში, 4 ოქტომბერს. ჩერნოგორიის მთავარმა ნიკოლაიმ დაითხოვა მომეტებული ნაწილი თავის ჯარისა იმ განზრახვით, რომ ხალხს ნამუშევრის მოწვევის ღონისძიება მიეცეს.

ამბობენ, ვითომც ლორდ დერბიმ ინგლისის ელჩს მიანდო შეეტყო აესტრო-მენგრიის მმართველობის ჰაზრის იმის შესახებ—თუ როდის და რა სახით

შეიძლება ნეატრალურ სახელმწიფოებში მებრძოლთ შორის მორიგებაზე შეამდგომლობა იკისრონ.

პარიში, 5 ოქტომბერს. ხმა გამოვიდა, ვითომც საფრანგეთის უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრმა გერცოგ დეკაზმა თხოვნა მისცა მაკ-მაჰონს თავის თანამდებობიდან განთავისუფლებაზედა.

## ომის აზრები

აზიის ბრძოლის ველიდან

მეროპიულს და რუსულს გაზეთებში ახლა იმ შეტაკებების და ბრძოლის ამბებს იწერებინან, რომელიც ჩვენს ჯარს 20-ს, 21-სა და 26 ენკენისთვის ჰქონდა მუხთარ-ფაშის არმიასთან. ეს ამბები ახლა, როცა მუხთარ-ფაშას არმია, ოფიციალური დეპეშის სიტყვით, სრულიად დამარცხებულია, სანახევროთ დატყვევებული და სანახევროდაც განფანტული, არავისთვის საინტერესო აღარ არის და ამიტომ არც ჩვენ მოგვყავს.

მოუთმენელად მოველით ამ ქამად ჩვენ ახალ დაწვრილებულ ამბებს მუხთარ-ფაშის გადარჩენილ არმიის შესახებ: საითკენ წავიდა ეს არმია? რამდენი კაცია გადარჩენილი? მოახერხებს ის შარსში შესვლას და ამნაირად კიდევ მოგველის ჩვენ იმასთან ბრძოლა, კიდევ გაგვიძნელებს ის შარსის აღებას, თუ არა? აი, ამ კითხვების პასუხს მოველით ჩვენ ოფიციალურის გზით.

მუხთარ-ფაშის დამარცხების შემდეგ, ყველა პლანები ოსმალებისა, მცირე აზიაში ბრძოლის წაყვანის თაობაზე, რასაკვირველია, სრულებით უნდა შეიცვალოს. როგორც გვარწმუნებდნენ, უმთავრესი პლანი და განზრახვა იმათი ის იყო, რომ მუხთარ-ფაშას ჩვენი მთავარი არმია დამარცხებინა ალექსანდრპოლისაკენ, იზმაილ-ფაშას—ტერ-ლუკასოვი იგდირთან, შემდეგ ორივე ეს კორპუსი გამოწვეულიყვნენ წინ და ჩვენს ქვეყანაში შეერთებულიყვნენ.

როგორც ზევით მოგახსენებთ, ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას ახლა ოსმალთებმა ძალა-უნებურად თავი უნდა დაანებონ.

შექველია, ამ დღეებში მივიღებთ ჩვენ იგდირიდან ამბავს, რომ იზმაილ-ფაშამ საჩქაროთ უკან დაიწიაო. და ეს მოსალოდნელია იმიტომ, რომ იზმაილ-ფაშა კარგათ გაიგებს, რომ მარტო იმას თავის ჯარით, უ-მუხთარ-ფაშოთ აქეთკენ არაფრის გარიგება არ შეუძლიან.

ბაზეთს „Голос“-ს მოჰყავს ოფიციალური ტელეგრაფი, რომელიც ამას წინათ ჩვენს გაზეთშიაც იყო მოყვანილი და რომელიც გვაცნობებდა, რომ შუა და სამხრეთ დაღესტანში ხალხის დევნა და აჯანყება თან-და-თან ძლიერდებაო. ამ ტელეგრაფის შესახებ ხსენებული გაზეთი ამბობს, რომ სანამ მუხთარ-ფაშას არ დავამარცხებთ და უკან არ დაესწევთ ჩვენი სამხედროებიდან, მანამ ძავეკასის მაჰმადიან მცხოვრებლების დამშვიდებას ჩვენ არ უნდა მოველოდეთო და ამიტომაც სანატრელიაო, რომ ჩვენმა იქაურ არმიამ უფრო ენერგიულად და აჩქარებით იმოქმედოსო.

აჰა, ეს ნატვრაც აუსრულდა ახლა შემომოყვანილს რუსულს გაზეთსა, და მართლაც იმის მოსახრება ჰქუზზე ახლოს არის: ლეკები და ჩეჩენები, რომელნიც მუხთარისა და იზმაილ-ფაშის იმედით აღდგნენ და ასე თამამად მოქმედებდნენ, ახლა, როცა ეს იმედი დაეკარგათ, ძალა-უნებურად უნდა დამშვიდდნენ...

ვეროპის ბრძოლის ველიდან

შესანიშნავე და ყურადღების ღირსი ამბები ამ უკანასკნელ დროს არაფერი არ მოსულა ბოლგარიის ბრძოლის ველიდან, და ჯერ-ჯერობით არცკი უნდა მოველოდეთ, რადგან ყველა დეპეშები—ოფიციალური და კერძო—ამ შემთხვევაში კი ერთხმად გვაცნობებენ, რომ აქეთკენ საშინელი წვიმები და ტალახები არის და ლაშკრობა ამისთანა ტაროსში შეუძლებელიაო.

ამის გამო მკითხველი ნუ დაგვემღუ-  
რება, თუ ამ ჯერობით მხოლოდ რამ-  
დენიმე წერილი ამბავი ვაცნობოთ მე-  
როპის ბრძოლის ველიდამ.

ბუშინდელს გაზეთებში იწერებოდნენ,  
რომ რუსეთი და სერბია დათანხმდნენო,  
სერბიამ გადაწყვიტა ამ ომში რუსეთის  
დახმარება და 7 ბრიგადა უკვე გაგზავნა  
სამზღერისაკენ, საცა მსმალოს ჯარები  
დგანო.

დღეს მოსული გაზეთები კიჟამბობენ,  
რომ მართალია, სერბია და რუსეთი  
მოთანხმდნენო, სერბიაც გამოუცხადებს  
მსმალეთს ომსაო, მაგრამ ნოემბრამდინ  
ის თავის სამხედრო მოქმედებას ვერ და-  
იწყებსო, მაშინ კი 40,000 კაცს გამოი-  
ყვანს ბრძოლის ველზედო.

საზოგადოთ სერბიის ამ ომში მონაწი-  
ლეობის მიღების საქმე ისეთი რაღაც  
შეიქნა, რომ ვერც ავსა და ვერც კარგს  
ამისას კაცი ნამდვილად ვერა-რას გეზუ-  
ლობს.

„ხალხთა-მორის ტელეგრაფის სააგენ-  
ტოს“ გვაცნობებს, ვითომც ინგლისმა  
იკისრა შუამდგომლობა მსმალეთსა და  
ჩერნოგორიას შუა მორიგების ჩამოსაგ-  
დებათ.

ამბობენ, ჩერნოგორიას თავის საქმე

და ბრძოლა მსმალეთთან გათავებულად  
მიანია და ამიტომ, თუ კარგი პირობა  
შეაძლია მსმალეთმა, თანახმა იქნება  
იმასთან მორიგებაზედაო.

მეორეს მხრით, უცხო ქვეყნის გაზე-  
თები გვარწმუნებენ, რომ აღრიდელი  
მთავარ-სარდალი ლუნის არმიისა მკმედ-  
ალი-ფაშა იმ ოსმალოს ჯარის უფრო-  
სად არის დანიშნული, რომელმანც ჩე-  
რნოგორიას უნდა წაართვას უკანვე ის  
ციხეები და ადგილები, რომელიც ამ  
სახელმწიფომ ამ უკანასკნელ დროს და-  
იპყროვო.

ნემეცურს გაზეთს „Horn“-ში დაბეჭ-  
დილია აესტრიის შინაგან საქმეთა მინი-  
სტრის მოხსენება ტრანსილვანიის შეთ-  
ქმულობის თაობაზე. ამ მოხსენებიდამ  
სჩანს, რომ ეს შეთქმულობა ერთობ  
გაუზვიადებიათ, ერთობ გაუბერავთ, და  
იმას სრულებით ისეთი მნიშვნელობა  
არ უნდა მიეწეროს, როგორსაც ზოგიე-  
რთი გაზეთები აწერდნენო. ის ყოფილა  
მხოლოდ რამდენიმე ასი კაცის საქმე,  
8 ბრალდებული არის ამის თაობაზე  
დაჭერილიო და მოთავე კი სამზღვარ  
გარეთ გაიქცაო.

ვები მძიმე შედეგით და მრავალი ნაც-  
ნობები მიწვეულნი, როგორც მე, გან-  
ცხადების ძალით, ჩუმათ იდგნენ ცხე-  
დარის გარეშემო.

მეც დაჯრუმი და უნებურათ დაუწყე  
ეკლესიას თვლიერება. მთუცა გუნდ-  
გუნდათ ერთო სანთლები და ჯერ კი-  
დე არ დაღამებულოყო, მაგრამ აქ მა-  
ინც ბნელოდა. მქრალათ ბეუტავდა სან-  
თლები შიგა-და-შიგ თითქოს კომლისა-  
გან ვაცისფრებულ საგნებზე. და ეს კი-  
დე უფრო აძლიერებდა მწუხარე შესა-  
ხელობის ყველაფერზე.

ბუღ-გრიალთ, როგორც უცხო კაცი,  
ცნობის-მოყვარეობით ვათვლიერებდი  
გარშემო მყოფთ, მაგრამ ბოლოს-და-  
ბოლოს რაღაც სამწუხარო გრძნობებმა  
შემიცივეს. ბუღ-საკლავათ გამოისმოდა  
სამწუხარო მიცვალებულის გალობის  
ხმა; სულს ამძიმებდა ოხვრა მიცვალე-  
ბულის ნათესავებისა, და შემხუთავი სუ-  
ნი სანთლებისა, საკმეველის და ყვავი-  
ლების იქამდინ გაძლიერდა, რომ მე  
ალარ შემძღო იქ დგომა და გადაწყვი-  
ტე გამოსვლა.

სიფთხილით მივადევი ერთ კარებს,  
საითქნაც მეგონა უფრო თავისუფლათ  
გავიდოდი, ვინამ სხვა კარებიდამ. მაგ-  
რამ აღმოჩნდა, რომ ამ კარებს პატარა  
სალოცავში შევყავდი, სადაც გამოქონ-  
დათ საავთმყოფოში გადაცვლილები და  
ასვენებდნენ იქ დასაფლავებამდე. სამ-

„დროის“ კორესპონდენცია

თელავი, 2 ღვინობისთვის. ნათქვამია:

„მრთი ხელით ორი ნესვი არ დაიჭირე-  
ბაო.“ მს ანდაზა ზედმიწევნით ჩვენს  
სუდიას უხდება. ამას უფისოთაც ბევრი  
საქმე აქვს საწარმოებელი და ახლა ნო-  
ტარიუსობაც თავზედ ახვევია.

მს თანამდებობა თხოულობს თავის-  
უფალს და დახელოვლებულს კაცსა, რა-  
დგანაც ნოტარიუსის შესახები საქმე მე-  
ლავეში ბევრია; მაშა სადამე სუდიისა-  
თვის ერთსა-და-იმავე ორი თანამდებო-  
ბის აღსრულება ძალიან მძიმეა.

ამ შემთხვევაში კი თელავის უფლის  
ხალხს დიდი ზარალი ეძლევა, რადგანაც  
თავ-თავის დროს ვერმიიღებენ კმაყოფი-  
ლებას, ნატარიუსის მოუტლელობის გა-  
მო.

აქამდის ამ საგანზედ არას ვამბობ-  
დით და არც სინიდისი გვაძლევდა ნე-  
ბას, რადგანაც უ. სუდიას ჰყვანდა ამ  
საქმეში კარგი თანაშემწე მ. ჯ—ძე—  
მარდი და გამოცდილი მწერალი. მსლა  
კი ეს პირი სხვა სამსახურში გადაიყვა-  
ნეს და მისი თანამდებობა მიენიჭა ამ  
სუდიისვე სტოლო ნაჩაღნიკ—თარჯი-  
მანს.

აი როგორ შეწუხებაში არის ხალხი  
უნატარიუსოთ:

ფელტონი

აკალონმარკოვიჩი

მოთხრობა არღოვისა

„ნათესავები, გულითადის მწუხა-  
რებით გაუწყებთ რა გადაცვალეზას  
პნასტასია ივანეს ასულის რომინო-  
ვისას, უმორჩილესად გთხოვთ ყვე-  
ლას მიცვალეზულის ნაცნობებს, რათა  
მოხბანდეთ სამშაბათს, ათ საათზე  
დილით, განსასვენებლათ — ის საავთ-  
მყოფოს ეკლესიაში. სალკე დაპატი-  
ვება არ იქნება.“

მრთის საათის შემდეგ ამ განცხადე-  
ბის წაკითხვისა, მე შევდიოდი ხალხით  
გატენილს ნ — ის საავთმყოფოს მატარა  
ეკლესიაში.

— რათ არის აქ დღეს ამდენი ხალხი?  
მკითხე ეკლესიის მცველს.

— ამ კვირაში აქ ბევრი მკედრებია,  
უფალო, მიპასუხა მან საჩქაროთ. მთ  
თქვენ პანაშვილი გაქვსთ გადასახდელი,  
მოითმინეთ ცოტა, წირვა ეხლავე გა-  
მოვა.

ზაჭურებით მივალწიე შუა ეკლესი-  
ამდი, სადაც ამალღებულ ცხედარზე მდი-  
დრულს ფარჩის კუბოში დასვენებული  
იყო რომანოვისა. რამოდენიმე ნათესა-

ოთხ კუბოს სულ მოეცვა პატარა სა-  
ლოცავი. მე გადავავლე მათ თვალი და  
ქრუანტელმა დამიარა სხეულში, რო-  
გორც მოგვივა ხოლმე მკედრის ნახეაზე  
ან სიკვდილის გაგონებაზე, და გავეშურე  
პირ-და-პირმეორე კარებისაკენ იმ ფიქრით,  
რომ ის კარები მაინც უსათუოთ გამი-  
ყვანდა ეკლესიის გაღავანში. ამ დროს  
უეცრად მოგკარი თვალი ერთს ჩემს  
სიხლოვეს მდგომ კუბოს, გამოვიცვალე  
ნაბიჯი და გავეშურე იმისაკენ. იმაში  
იწვა ყმაწვილი ქალი. შავი თმა აბრე-  
შუმეული გრძელი ნაწნავებით, ეშვე-  
ბოდა სუდარზე. მსუბუქი აჩრდილი ხში-  
რი ნაწნავებისა ეფინებოდა მარმარილოს  
მსგავს ლაწვებზე, და მკრთალი წარბები  
უმშვენებდნენ დაბალ, მშვენიერ შუბლს.

მე მეცნობებოდა ეს სუსტი სახე, ეს  
ნახი ტუჩები, ეს გაყვითლებული მშვე-  
ნიერი ხელები, აგრე უძრავათ დაკრე-  
ფილი ეხლა გულზე.

— სად მინახავს მე ეს ადამიანი?  
მკითხავდი ჩემ თავს. დარწმუნებული  
კი ვიყავი, რომ მინახავს, მაგრამ სად?  
როდის?... მითქვას ცოცხლათ იწვა ის  
თავის ვიწრო სარეცელზე; აღსაშფოთე-  
ბელ სიმშვიდეს გამოახატავდა იმისი ფერ-  
მკრთალი, მშვენიერი სახე. სად, სად  
შევხვედრივარ? მფიქრობდი მე, კუბოზე  
დავროდმოდი.

— ბავებდავ გკითხოთ, მოწყალეო

ამას წინათ დავესწარ სულში იმ დროს, როდესაც ერთი გლეხი-კაცი მოვიდა ახალ ნოტარიუსთან და სთხოვა შედგენა და შემოწმება შეიდი საპაღნეღვის პირობისა, რომელსაც აძლედა ერთს თელაველს სამეხს. ამ გვარი ქალაქის შედგენა და შემოწმება შეიძლება ერთს საათში. ჩვენმა ნოტარიუსმა კი მთელი დღე მოანდომა თავის გამოუცდელობით; პირ-და-პირ თეთრი ვერ შეადგინა ეს უბრალო ქალაქი: ჯერ დასწერა შავათ და სამჯერ თითონ წაიკითხა, რომ შეცდობა არა ჰქონოდა; მერმე რუსულად წაუკითხა გლეხს; მერე გადაუთარგმა მასვე ქართულათ; ახლა შემოწმებას მოუნდა სათ-ნახევარი და ამ გვართ დილის რვა საათიდან დაწყებული საქმე ძლიერ გათავდა ნაშუადღევის მეოთხე საათზე!

ამ გლეხს გარდა ოთხი კაცი სხვა ელოდებოდა ნოტარიუსს ვეჭვილების შესადგენათ, მაგრამ ცარიელები დაბრუნდნენ, რადგანაც იმ გლეხის საქმის გათავებამდის სადილმა მოუხსწრო და პური მოჰმოდებდა.

მე თითონ ავერ ათი დღე არის, რაც ყოველ დღე მატანტალებს თავისთან და ვერ მომიხერხა გირავნობის დაწერა...

მართის სიტყვით, ძალიან კარგი იქნება, რომ უ. სულიამ ან რიგიანი მწერალი

იშოვნოს, რომ ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილება შეიძლოს ნატარიუსის ნაწილში, ან სულ უარი ჰყოს ამ თანამდებობაზედ, რომ განსაკუთრებით ნოტარიუსი დაგვინიშნოს მთავრობამ.

მნ-ტანია

# უცხო ქვეყნები

## საზრახველი

საფრანგეთის საქმეებმა ცოტა ხნით ჩაჩრდილა ომის ამბებისადმი საზოგადო ინტერესი მით უფრო, რომ ამ ხანებში ბრძოლის ველზე მაინცა-და-მაინც მომეტებული ყურადღების ღირსი მეროპისათვის არა მომხდარა-რა.

მასულ კვირას, ღვინობისთვის 2-ს, როგორც მოგვხსენებთ, საზოგადო კენჭის ყრა იყო მთელს საფრანგეთში, რომელზედაც ამოაჩივს მომავალი ნაციონალურ ძრების დეპუტატები. მეროპამიცოდა, რომამკენჭის-ყრაზე, ცოტათ თუ ბევრად, დამოკიდებული იყო საფრანგეთის მომავალი ბედს; მეროპამ იცის აგრეთვე ისიც, რომ საფრანგეთის ბედზედ, ამ ქვეყანაში საქმეების მსვლელობაზედ მკვიდრად დაკავშირებულია თვითონ იმის, თვითონ მეროპის ბედიცა, — და აი ამით აიხსნება ის საზოგადო ინტერესი, რომელიც ზევით მოვისხენიეთ.

„ღროების“ მე-159 ნომერში მოყვანილი იყო დაახლოებით ანგარიში კენჭის-ყრისა. ეს ანგარიში გვიჩვენებს, რომ მონარხიულ (რეგიციალურ) კანდიდატებმა 201 ალაგას გაიმარჯვეს, რესპუბლიკელებმა კი 314 ალაგას; და რადგან სულ 533 დეპუტატი საფრანგეთის ნაციონალურ კრებისათვის ამოსარჩევი, მაშ კიდევ 18 დეპუტატი ყოფილა ამოსარჩევი, ამათგან 4 საფრანგეთის კალონიების და დანარჩენი 14 ხელ-მეორედ კენჭის საყრელი. ამ თვრამეტში რომ ნახევარი (9) რესპუბლიკელებისაკენ ჩავადლოთ და ნახევარიც (9) მონარხისტებისაკენ, გამოვა, რომ მომავალ ნაციონალურ ძრებაში რესპუბლიკურ პარტიას ეყოლება სულ 323 თავის წარმომადგენელი და 210 მმართველობას (მონარხისტებს).

თუ ამასთანავე წარმოვიდგენთ, რომ მონარხისტები ძრებაში სამ უმთავრეს პარტიად: ბონაპარტისტებად, ორლენისტებად და ლეგიტიმისტებად იქნებიან გაყოფილნი, რომელნიც ძალ-კატისებურად ცხოვრებენ ერთმანეთში, და რომ რესპუბლიკელები კი თანხმობით იმოქმედებენ, მაშინ დარწმუნდებით, რომ დიდი უმრავლესობა და ძალა ამ პალატაში მაინც კიდევ რესპუბლიკელებს ექნებათ.

— ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ

ხელმწიფე, თქვენ იცნობდით ჩემს მეუღლეს? მომესმა მე ყრუ ხმა.

მე მივიხედე. ჩემთან იდგა დაბალი თითქმის ჯუჯა-კაცი და მწარედ ჩამჩერებოდა მწვანე და ნაცრის ფერის თვალებით. რომ არ ჰქონებოდა ყელზე სტანისლავის ჯვარი, და ხელშიაც მალალი შლიაბა გარ-შემოკრებული შავი ლეჩაქით, მე ის ერთი შეხედვით არ მეგონებოდა სრული კაცი. იმის სახისათვის შეიძლებოდა მიეცა კაცს თქვესმეტიდგან ორმოც წლამდე. მე ჩამოვდევნი.

— ბთხოვთ მომიტყვოთ, რომ მე აგრე გაუტყრებით ჩავაჩერდი თქვენი მეუღლის სახეს. მე არ მაშიძლიან თქვენს კითხვაზე მოვიგოთ არც ჰო და არც არა. მე ამოთ ვცდილობ მოვიგონო — სად შევხვედრივარ...

— თქვენ არ შეგიძლიანთ მოვიგონოთ? მაშ, სხანს თქვენ არ გყვარებიათ ისე, როგორც სხვებს? შეცრათ გამაწყვეტინა და კიდევ გაუტყრებით ჩამაჩერდა. მე თქვენ მოგაგონებთ... მაგას ეძახდნენ ლიუბას. ლამაზი ლიუბა, მშვენიერი ლიუბა!...

ლიუბა! ამ სახელმა გააღვიძა ჩემში ყოველი წასული. როგორ დავივიწყე მე ეს! ხელ-ახლად გადავხედე მიცვალბულს. მოციმციმე ალი წმინდა-სანთლისა აფენდა მკრთალ შუქს იმის ფერ-წასულს სახეზე. თითქოს სითბოს შუქმა გაღირბინა იმის შეკრულ ბაგეზე და უცრათ

წარმომიღვა თვალ-წინ ის ლიუბა, როგორც ვნახე მე ის პირველათ, როცა მივედი სწავლა-გათავებული სოფელში ჩემ ბიცოლასთან: მსუბუქ საბალო კაბაში, ალის ფერი ყვავილებით შავ თმაში, ქორფა, ახალგაზდა, მშვენიერი და ცურავდა ის ზალაში.

რამდენმა წელიწადმა გაიარა მას შემდეგ და მისი სახელიც კი გაჰქრა ჩემის მახსოვრობიდან. და ეხლა უცრათ შემხვდა იმის ნახვა, მაგრამ სად? საავათმყოფოს სალოცავში, კუბოში! ორი კვირა ერთს სახლში ყოფნამ, ორი კვირის აღტაცებული სიყვარულის დღევამ, იქნეულობამ, შფოთვამ ხელ-ახლათ განიღვიძეს ჩემში...

— მაშ, თქვენ არ იცნობდით ჩემს მეუღლეს? ბანიმეორა პატარა კაცმა.

— თქვენ წარმოთქვით იმის სახელი და მეც მომაგონდა... თუ არ ვცდები, თქვენი მეუღლე იზრდებოდა ბიცოლა ჩემთან?

— ბიცოლა თქვენთან? მ. ი. ხარიტანოვის მეუღლესთან?

— ღიან, ის ბიცოლაა ჩემი.

— აა, ბიცოლა თქვენი იყო ის? ბესლიანათ წარმოსთქვა. ბიცოლა თქვენი? პატივი მაქვს მოგილოცოთ!...

იმან აიწეწა თხელი თმა და დაცინვით ააჩოჩა ჩემს წინ ფხეები. ძლიერს იჭერდა სიცილს. მე კითხვით შევხედე. მან არ მიაქცია ყურადღება ჩემს მიუხ-

დომლობას, მიუახლოვდა კუბოს, დაიკრბოდა ნაპალიონურათ გულზე ხელები და დაჰყო აგრე რამდენიმე ხანი ჩუმათ. მე გადავავლე თვალი მშვენიერ მიცვალბებულს და გაკვირვებული ვფიქრობდი, — რამ შეაერთა ქორწინებითის კავშირით აგრეთი ერთი-ერთმანეთ შეუფერებელი პირნი-მეთქი?

— აი, ეხლა ეს წვეს თავის ვიწრო სარეცელზე, — წამოიძახა მან ანდერგულის ხმით, და არცერთი მისი თავყანის-მცემელთაგანი არ არის მასთან. ღიან არცერთი! არც კი უნახავს არავის, როცა იწვა აქ და საუკუნოთ აძლედა სულს. არც ამას შეუტყობინებია ვისმესათვის თავის ავათმყოფობა!... მხოლოთ მე მომიხმო?... ადრე, როგორც უბრალო სახლის მცველს, ისე მეპყრობოდა; და სიკვდილის დროს კი მოისურვა ჩემი ნახვა!... და მეც მივედი იმ საათშივე!... მთელი ღამეობივ ვათენებდი მასთან ერთათ... და უკანასკნელს დროს მომთხოვა შენდობა მე, აპოლონ მარკოვიჩს!... დასასრულ ის მიხვდა, რომ მისი აპოლონ მარკოვიჩი, არაფრისაგან არაფერი აპოლონი, უფრო სულ-გრძელია, ვინემ ის გმირები, რომელნიც თითქო თავს ევლებოდნენ მას. მან მიცნო, სინანულში შევიდა, და მეც მიუტყევი... ხმა აუკანკალდა.

(ბაგრაძელება შემდეგში)



მოხსენებული, რომ, მარშალ მაკ-მაჰონის მანიჭესტის წინააღმდეგ სტატიის დაწერისათვის, გამოჩენილ პუბლიცისტს და აკადემიკოსს ჯონ ლემუანს მთავრობა სამართალში აძლევს. ახლა იწერებიან, რომ მართალია, ჟურნალ და მაკ-მაჰონს ეს განზრახვა ჰქონდათ, მაგრამ, ლემუანსა და ბროკლის წინააღმდეგობით, მთავრობამ ეს განზრახვა სისრულეში არ მოიყვანა.

## ბანსადგები

ზედამხედველი კომიტეტი მიხაილის ახანოვსკის საადგილ-მამულო ბანკისა—ქალაქსუთისში გამოაცხადებს, რომ, ბანკის წესდების მე-79 მუხლის ძალით, ვი რატომბარს ამა 1877 წ., 12 საათზედ დღისით, დანიშნულია საზოგადოების წევრთა არა-ჩვეულებრივი საზოგადო კრება განსახილველად ქვემო-აღნიშნულთა საგანთა:

- 1) შულის შამოტანის დროება იმ მოვალე პირთა თხოვნით, რომელნიც იღებენ მონაწილეობას ესლანდელ ომში.
  - 2) ზედამხედველ კომიტეტის ორი წევრის აღმორჩევა, იმ პირთა ნაცვლად, რომელნიც უნდა გამოვიდნენ წესდების მე-76 მუხლის თანახმად.
  - 3) ზოგიერთ ხარჯზედ, რომელიც საზოგადო პირებისაგან დამტკიცებულ სმეტაში არ არის მოხსენებული.
- კრება იქმნება ბანკის გამგეობის სადგომში, რომელიც იმყოფება ქალაქსუთისის, თფილისის ქუჩაზედ, თავადი. ძონსტანტინე ნაჯარაძის სახლებში.

(1—1)

## პართული სახალხო სიამარბი

შეგროვილი და გამოცემული ზაქ. ჰაჭინაძისაგან. წიგნი პირველი. შასი ყველგან ერთი შაური

## ბამოვიდა ამ დღეებში

### წესდება

სასჯალთაზედა რომელთაცა გადასვებთან მომრიგებელი მსაჯული.

ქასსაციონი განაჩენებითა და „თამბაქიას წესდება“

ისეილება თფილისში, ტერ-ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ტერ-ბრიქუროვის აგენტთან და სიღნაღში უ. ნ. ზამრეკელთან.

პატივი მაქვს გამოუცხადო თფილისის საზოგადოებას, რომ მე ვაკეთებ საუკეთესო შაესა და ფერად-ფერად

### მელანს

და აგრეთვე ყვილი წაღებისა და ეკიპაჟების ბორბლებისათვის ისეთს **გაზს** რომ წყალი ვერ გაატანს. მრთს ბოთლს მელანს ყვილი, უბოთლოთ 50 კაპ, ბოთლიანათ 60 კაპ. მსურველს შეუძლია ამ ადრესით მიმართოს: პარწრუნის ქარვასლაში, № 85 **სტეფან ხუდადოვი**

## ლიბეჭდა და გამოვიდა ომის სიამარბი

და სხვა ლექსები. შასი ყველგან ერთი შაური. თქმული ღვით ბიეიშვილისაგან.

ბანოვის ქუჩაზე, იაკობ მირზოევის სახლებში გავადე **ახალი მოდის მაღაზია**. ვკერავ ქალის კაბებს, ტალმებს და შუბკებს, აგრეთვე ახალი მოდის დასახურავენსა და ჩასაცმელებს და საზოგადოთ ქალის ყოველ გვარ ტანისამოსს ხელ-შასს ვიღებ სინიღისინათ. **გაბრიელ თოროშანოვი**

ქუთაისში მიიღებენ ყაფვილებს საშუალ სასწავლებლების მესამე კლასადინ **მოსამზადებელად**. მსურველს შეუძლიან იკითხოს „ძონსტანტინე სასტუმროში მადამ დიუპონი“.

## კავკასიის განყოფილება გაზეთის „ГОЛОСЪ“-ის რედაქციისა და კანტორისა

(თფილისში, ბოლოგინის პროსპექტი, ანტონოვის სახლები) იღებს ა) სტატიებს, კორექტურებსა და ტალეგრაფიულ ცნობებს შესანიშნავს აწმყო შემთხვევებზედ, ბ) ხელის-მოწერას გაზეთს „ГОЛОСЪ“-ზე ყოველგვარის ვადითა და გ) შოველ-გვარ სახაზინო და კაჩქო ბანსადგებათ საზოგადოთ გასაგებს ენებზედ.

გაზეთის „ГОЛОСЪ“-ის ცალკე № 12 (ეგზემპლიარი ორ შაურად) ისეილება: ა) თფილისში: I და II განყოფილებაში უფ. ბ. ი. ახანოვსკის მაღაზიებში (ბოლოგინის პროსპექტი, მდივანის სახლები) და ბრიჭურკოთან (Кавкаская Книжная Торговля)—წიგნის მაღაზიებში. ბ) ქუთაისში—სვ. ჩომახიძისთან (ტაბოგრაფიაში) გ) ვლადიკავკაზში—უფ. ფილოსანთან. ამას გარდა განყოფილება მოიწვევს კომისიონერებს კავკასიის აქეთა და იქითა მხრის ადგილებში გაზეთის „ГОЛОСЪ“-ის ცალკე № 12 ბაჟი ყიდასსველად.

რ.კ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 29 ენკენის.		თფილისი, 3 დღისობ.	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოთს	1			შქე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1 90
ბორი	11 58	9 43	2 40	1 23	ბორს, დუშეთს, სიღნაღს	50	მრთი ანეთი ღირს:	78	შქვილი წითელი.	1 45
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	ლონდონში 24 პენსი.	81	ქერი ფუთი.	1 25
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარშავს	2	პარიჟში 250 სანტიმი.		ბამბა მრეწისა, ფუთი.	8 20
შვირილა	5 49		5 81	3 23	ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	მსკონტი(სარგებლისფასი)	71	— ამერიკისა, ფუთი.	8 50
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბანკის ბილეთი 5%	94 50	ბაჟანტილი ბამბა ფთ.	9 50
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში.	3 75	მოგებიანი(პირველისესხი)	207 25	მატყლი თუშური ფთ.	7 —
ახ.-სენაკი	—	—	8 57	4 76	<b>ფოფტა</b>		მოგებიანი (მეორე სესხი)	202 50	— თარაქამისა ფთ.	3 50
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამხლვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		ბირაოს ფურცლები:		აბრეშუმი ნუხური სტ.	3 —
					კვირას გარდა. შუგდ. ორშ. და სამშ.		თფილ. სააზნ. ბანკისა.		ქონი, ფუთი.	5 80
ახ.-სენაკი	—	—	1 18	66	მსურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—		ხერსონის ბანკის (5%)	85 25	ქონის სანთელი ფუთი.	8 —
სამტრედია	11 16		2 6	1 14	სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:		მოსკოვის (5%).	85 50	სტეარინის სანთელი, ფ.	12 54
რიონი	12 13		3 4	1 69	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		<b>აქციები:</b>		ხორცი ძროხისა. ლიტ.	— 54
შვირილა	1 18	ლაშე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მსურგეთს—		რდესის საეჭპო ბანკის	177 —	— სვრისა, ლიტრა	— 63
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		შოთი-თფილ. რკინ. გზის		სპირტი, გრადუსი	— 12
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გაგზავნარუკეთში	კაპ	შავი ზღვის ცეცხ. გემების	527 —	შაქარი, ბროც. ფუთი	8 20
ბორი	7 5	4 87	3 64	9	და სამხლვარ გარეთ:		ქავკაზის და მერკულის.	225 —	— ფხვნილი ფუთი	7 20
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4	ლა წიგნის	4	პირვ. საზღვევ. საზოგ.	745 50	შავა გრვადლი, ფუთი	26 —
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	შეთი ქუჩუთისა ფუთ.	12 —
							მოსკოვის საზღვევ. საზ.	238 —	რქო 1/2 იმპერიული.	8 28